№ 110
სამშაბათი, 30 მაისი 1895

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	70
9	8	—	3	3	55
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1895

ივერია

№ 110
სამშაბათი, 30 მაისი 1895

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

კნეინა თამარ ივანეს ასული სუმბათაშვილისა შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა მეუღლისა თვისისა **თავ. მიხეილ სოლომონის ძის სუმბათაშვილისას.** პანაშვიდი გარდახდილ იქმნება ყოველდღე საღამოს 8 საათზედ გარდაცვალებულის სახლში (კონსულის ქ., სახლი ჯაბაროვისა). მიცვალებულს გაასვენებენ ხუთშაბათს 1 ივნისს, დილის 9 საათზედ, სიონის ტაძარში. დასაფლავებულ იქმნება ნავთლუღის შორეულ წმ. ბარბარეს ეკკლესიაში.

(1—1304—1)

კავკ. სამოსწ. ოლქის მზრუნველის ნებართვით საზაფხულო მოსამზადებელს კურსებზედ ამზადებენ განმეორებითსა და მისაღებ ეგზამენებისათვის საშუალო და დაბალს სასწავლებელში შესასვლელად.

მიიღებიან პანსიონერებიც

მოსამზადებელ კურსების პატრონი მასწავლებელი ვ. ი. ჩიკვაიძე.

ადრესი: პირად ნახვა შეიძლება 2 ივნისამდის სასტუმრო „ორიანტ“-ში № 30, დღის 12 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდის, ხოლო 2 ივნისიდგან მსურველთ უნდა მიჰმართონ ქ. თელავს, საკუთარს სახლში.

სწავლა დაიწყება 10 ივნისიდგან.

(4—6—2).

ვამზადებ ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლების 1-ლის კლასისათვის, აგრეთვე პირველისა და მეორე კლასის მოსწავლეთ, რომელთაც განმეორებითი ეგზამენები აქვთ დანიშნული. შემიძლიან სახლშიაც ვიარო, დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდის; მსურველთ შეუძლიანთ პირობები და ადრესი „ივერიის“ რედაქციაში შეიტყონ.

(3—3).

კვირასა და ორშაბათს 4—5-ს ივნისს
გამართული იქნება

ლატარია-ალეგრი

გასაძლიერებლად „ტფილისის მეორე გიმნაზიის დამხმარებელ საზოგადოებისა“.

ამ საზოგადოების გამგე კომიტეტის თავმჯდომარე კნ. ბ. გ. ბარათაშვილისა აცხადებს რა ამას საყურადღებოდ ტფილისის საზოგადოებისა, დიდად იმედოვნებს, რომ პატივცემული საზოგადოება წელსაც, როგორც შარშან, გულ-მხურვალედ მიეგებება ამ კეთილს საქმეს და შესწირავს ნივთებს ზემოხსენებულს დამხმარებელს საზოგადოებას ლატარია-ალეგრის გასამართავად, რომლის შემოსავალი ერთიან გადაიდება ამ სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ.

შემოწირულებანი მიიღება გამგე კომიტეტის თავმჯდომარის კნ. ბ. გ. ბარათაშვილისას, საკუთარს სახლში, რეუტოვის ქუჩაზედ და სასწავლებლის დირექტორ დრბოგლავთან, ვორონცოვის-ნაბერეჟნი ქუჩაზედ, გიმნაზიაში.

ტფილისი, 30 მაისი.

თითქმის ექვსი თვეა მას აქეთ, რაც იტალიის მინისტრ-პრეზიდენტმა კრისპიმ გამოუცხადა მეფე ჰუმბერტოს, არ შეიძლება ქვეყნის ახლანდელ წარმომადგენლებით სახელმწიფოს მართვაო და ამიტომ პარლამენტი დაითხოვნინა. მას შემდეგ კრისპის მთავრობა დიდს ბრძოლას და მზადებაში იყო, რათა მომავალ არჩევნებზედ გამარჯვება ენახა და უფრო მორჩილის წარმომადგენლებით აევსო პარლამენტი. რა და რა ხერხსა და საშუალებას არ მიჰმართა თვისის განზრახვის განხორციელებისათვის იტალიის მთავრობამ! ჟურნალ-გაზეთების შემწეობით ბრძოლის გარდა მან აგრარული პროექტიც კი შეიმუშავა სამხრეთ იტალიისა და სიცილიის ბოგანო ხალხის გულის მოგებისათვის და მრავალ უკმაყოფილოთა გაჩუმებისათვის! მაგრამ სხვა ყველა საშუალებაზედ უმჯობესი და მასთანავე ძლიერ უსამართლო შემდეგი იყო: კრისპიმ სრულიად დაამახინჯა ამომრჩეულთა სიები და მეტის-მეტად შეამცირა ამომრჩეველთა რაოდენობა. სულ იტალიაში, წრეულს მოხდენილ აღწერილობით, 30 მილიონზედ ცოტა მეტი მცხოვრები ყოფილა; ამათში რვა მილიონამდე კაცია, რომელთ კონსტიტუცია ნებას აძლევს არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს. ადგილობრივ დაწესებულებათ იმდენი ეცადეს, რომ, რვა მილიონის მაგიერ, ამომრჩეველთა სიაში მხოლოდ 2,400,000 კაცი შერიცხეს; შემდეგ ეს სიები სამინისტრომ შეასწორა (!) და ამომრჩეველთა რიცხვი 1,800,000 კაცამდე დასწია. ამათგან, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ყველას როდი მიუღია მონაწილეობა არჩევნებში: არჩევნების უფლებით ისარგებლა მხოლოდ 900,000 კაცზედ ცოტა მეტმა. ამრიგად კრისპიმ ფაქტიურად სრულიად გააუქმა კონსტიტუციის კანონი საყოველთაო საარჩევანო უფლებათა შესახებ და რაღა გასაკვირველი იქნებოდა, რომ ბრძოლის ველიდგან სრულიად გამარჯვებული გამოსულიყო. გასაკვირველი არაფერი იქნებოდა, რომ საქმე სრულის გამარჯვებით გათავებულიყო, მაგრამ საქმეც იმაშია, რომ არჩევნების შედეგი ისეთი არ არის, როგორსაც კრისპი და მისი მომხრენი მოელოდნენ. მათის გამოანგარიშებით ამორჩეული იქნებოდა 400 მეტი მთავრობის მომხრე, ხოლო ოპპოზიციის დასებს 100 ნაკლები დეპუტატი ერგებოდათ. ნამდვილად-კი, ამორჩეულ იქმნა 336 მთავრობის მომხრე და 172 ოპპოზიციის სხვა-და-სხვა დასის მომხრე. მკითხველი იტყვის—მეტი რაღა უნდოდა მთავრობას, თუ-კი 164 ხმის უმრავლესობა ეყოლება მომავალ პარლამენტშიო?! მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ დეკემბერში დათხოვნილი პარლამენტიც თითქმის ამგვარსავე უმრავლესობას შეიცავდა, მივხვდებით, რომ კრისპის წელს სრული გამარჯვება არ რგებია. წინანდელს პარლამენტში კრისპის მომხრეთა რიცხვი ცოტათი ნაკლები იყო იმ რიცხვზედ, რომელიც ახლა ამორჩეული იქმნა და თუ მაშინ გამოაცხადა მინისტრმა—არ მოხერხდება ამ წარმომადგენელთა შემწეობით სახელმწიფოს მართვაო, ცხადია შემდეგშიც არა ნაკლებ გაუჭირდება საქმე იტალიის ბისმარკს.

მიუხედავად ამისა, უნდა ვიგულისხმოთ, რომ იტალიის საქმეები ამ არჩევნების შემდეგ არაფრით შეიცვლება ჯერ-ჯერობით მაინც. კრისპი კიდევ შესძლებს იმ გზაზედვე ატარიოს იტალია, რა გზაც კარგა ხანია აურჩია მან თავისს სამშობლოს. გარეშე პოლიტიკაში იტალია ისევ დარჩება „სამთა კავშირის“ წევრად, რაც მას იძულებულად ჰყოფს დიდძალი ხარჯი გასწიოს მილიტარიზმის გაძლიერებისათვის და რაც მეტის-მეტად აფერხებს ქვეყნის ეკონომიურს კეთილ-დღეობას. შინაურს პოლიტიკაში კრისპის მთავრობა უწინდელსავით გულ-გრილად და უყურადღებოდ დასტოვებს მუშათა და გლეხთა უკიდურესს მდგომარეობას, იმ გლეხთა, რომელიც დრტვინავს აუარებელის გარდასახადის გამო, იმ გლეხთა და მუშათა, რომელიც უმეტეს ნაწილად მშიერია, მშიერია ყოველგვარის ბუნებრივის სიმდიდრით აღვსავსე ქვეყანაში.

იტალიის ახლად დასრულებულ არჩევნებზედ თავი იჩინა ერთმა გარემოებამ, რომელიც უთუოდ მიიქცევს ევროპის მწერლობის ყურად-

ფელეტონი

ხალხის ცხოვრებიდგან.

ერთს შემოდგომის ღამეს, მდინარე ალაზნის მახლობლად, უზარ-მაზარ ჭალაში დიდრონი ცეცხლები მკვახედ ტყრშიალებდნენ, გიზგიზებდნენ და გუგუნებდნენ ტკაცა-ტკუციან ქახქახით ასამდე ალაგას. აქა იქ დაქსაქსულ ცეცხლების მაღალ-გურგურა ალი და გასისხლისფერებული შუქი რაღაც თვალ-გულის მომჯადოებელი საოცნებო მოჩვენებად ჰხდიდა მრავალ-სახოვანს ჭალას ბნელს ღამეში. თითოეულის ცეცხლის სიახლოვეს ხალიჩა-ფარდაგებით გადაკამარებული ორ-ორი და სამ-სამი ურემი იდგა ერთად გამოშვებული, თავ-გავაზის წმიდა გიორგიდგან მომავალ კახელ-ქიზიყელ მლოცავებისა.

მანდილოსნებს წვრილ-ფეხა გოგო-ბიჭებით ურმებში ეძინათ, და მსხვილი კაცები და ბიჭები ცეცხლებს შემოსწოლოდნენ გარშემო ტყავ-ნაბდებში მოხრუსტულები; ფარაჯა წამოსხმული მოხუცი კაცებ-კი ისევ ცეცხლა-პირას ისხდნენ აქა-იქ სახე-დაღრემილები და რაღაც ფიქრებში გართულნი დინჯად აბოლებდნენ ყალიონს წარბ-შეკმუხვნით. ყველა სულდგმული განთიადის ღრმა ძილში წასულიყო და ისეთ სიჩუმეს დაეყრუებინა ცა და მიწა, რომ მკვდართა სავანე-სამფლობელოს მოაგონებდა ადამიანს. ათასში ერთხელ ურმის საქონლისაგან ნამსხვრევ ხმელების ფაჩი-ფუჩიანი ლაწი-ლუწი, ცხენების ხრამი-ხრუმი, ოლოლის კივილი და ნამძინარევ ადამიანთა გულის სიღრმიდგან ამონაწყვეტი მწარე გმინვა-წკმუკუნი-ღა გაისმოდა უდაბურს ჭალაში და იმათთან ერთად ვიღასიც გულ-მომწყვლელი ხმა: „შვილოო!..“

ერთ ცეცხლა-პირას ნამჯდომიარე წელ-მოღუნულმა ბერიკაცმა გულ-მწუხარედ ამოიგმინა და, რადგანაც მის გარშემო ყველას ეძინა, ყველა სდუმდა წუთიერს თავ დავიწყებაში, მისმა მრავალ-ტანჯულმა გულმა სევდა-ნაღვლის ადუღებული ნაგუბარი ვეღარ დაიტია, მაჰრივით ამოჰსქდა და თავის-თავს ელაპარაკებოდა ისთის მძიმე-მძიმე ამოხვნეშით, თითქოს იმ დაჟინებულის ქშენით ამოეზიდებოდა გულიდგან გულის ტანჯვა-მწუხარებას და ღამის ნიავს ატანდა სამოთხის მთა-ბარში გასაფანტად.

— მე რო ზამთარში ეგრე მითბებოდეს წელ-გული ცეცხლი სულით, ჩემ დღეშიაც აღარ ვიტყოდი ღარიბი ვარ-მეთქი,—ჩიფჩიფებდა და ბუტბუტებდა სვენებ სვენებით დაბრანძულ-დაკონკილ ფარაჯაში გახვეული ბერიკაცი: ი დალოცვილმა ხაზინამ იგრე შაგვიკრა ე ტყეები, რო ტყეებიდგან იმი ნაასალი შასავალიც არ ექნება ხაზინას, რაც უდიერი ზამთრის ყინვაობისაგან დახოცილი ღარიბ საწყლების ხარჯი ხარჯად ეკარგებათ მუდამ წელს, სული სულად და ხორცი ხორცად. ერთი ურემი კუწაწი რო გამააპარო ტყიდგან ლუკმის გამოსაცხობად, მინამ შინ მაიტან, ერთი კაკალი თუმანი დაგიჯდება ურმის ქირით, მოცდენით, ხარჯით, ყარაულ-ლეშნიჩების ქრთამით, პატივით. მოდი შენ და იცხოვრე ამ ყოფაში საწყალო კაცო!.. ჰეეე, ღმერთო, ღმერთო, საპყარი ხალხი ზღვის ოდენა გაგიჩენია დუნიაზედ, შე დალოცვილო, და იმათი შამბრალებელი-კი დაგვიწყებია! სხვითა ჭირი—ლობეჰ ჩხირიო, აი ეხლანდელი ეშმაკობით გამოტენილი ადამიანის შაბრალება და შაწყალება. ვაჰ! ერთი დაანახვა ი ღვთისაგან დალოცვილ რუს-ხელმწიფეს, ზამთრობით რო ძალუმი ჭირხლებისაგან ხეები თეთრად გაიფენტებიან-ყე ბამბა-ქულასავით და ი ზღვის-ოდენა შიშველ-ტიტველა ღარიბ-ღატაკები ფარღალალა უცეცხლო ქოხ-ბუდრუგებში რო ცხრაკეცად იხრუჭებიან და იკლაკნებიან წელ-მოწყვეტილ გველივით და იტყვი სული ხორცს ეყრებაო, იგრე ბაბანებენ და ჩახჩახებენ კბილების ძაგძაგით ყინვა-ყიამათობისაგან გათოშილები. ვაჰ, ვაჰ! ერთი დანახვა, რო ჩვენი საცოდაობით გული ამდუღრებოდა ზღვასავით და მოწყალე თვალით გადმეხედნა ჩვენკენაც ი დალოცვილს.

აქ ცოტა ხანს გაჩუმდა ბერიკაცი და მერე ისევ განაგრძო:

— ჰეე, დაილოცა ღვთის განგება და სამართალი, რას არა ჰნახავს ადამიანი სიკვდილამდინ. უწინ, ჩემს მოჰწიფეობაში, კამეჩებითაც ძლივ შავათრივთყე სახლებში სამუგუზრე ხერგები და იგრე გაუწყვეტლივ ღუღღუღებდა და გუგუნებდა დღე და ღამ შუა ცეცხლი, იტყვი საკირეაო: ეხლა სადღაა, ვინღა ჰნახავს! ქვეყანა გამოიცვალა, ხალხი გაეშმაკდა და ცხოვრებაც გადასხვანაირდა. ეხლანდელ გაძაღლებულ დროში ლუკმი გამოსაცხობი წკრიმლებიც კი გვენატრება უხარო საწწყლობას და ზამთრის მომშხამავი ყიამათობისაგან გათოშილებს შიმშილი უფრო უარესს გვიშვრება, ადამიანი რო უშმ-ფიჩხობისაგან ცივ წყალში ადგვლეთილ ფქვილი სალაფავსა სვლეპავდეს ბოთვერა ძაღლივით—ამაზედ მეტი ცეცხლი და ღვთიჰ წყრომა კიდე იქნება?! არა, ე გამჩენ ძაღლი, ე რაღა ცის რისხვაა, თქვენი კვნესამე, რო ათასი ჯვარი და ხატიც-კი კარგ უნახავთ ღატაკებს გვედავებიან იგრეც წყალ-წაღებულეზს კიდე ურიის მახრჩობელა ვალში გვაგდებენ შვილიან-თავიანათ!.. უსულღმერთოების დაბრიყვება და ჩვენი სიღარიბის ათასი ძაღლ-უმადლური ჭირ-ვარამი-კი არ გვეყოფოდა, რო ხატსა და ჯვარსაც ჩვენ არ დავებრიყვებინეთ-რა?! ფუი, ეგეთ ყოფნასაც, ეგეთ ყისმათსაც და ეგეთ ცხოვრებასაც—ფუი!.. გულ-გარისხებით გამოაფურთხა მოუკლავის ბრაზით თვალებ ანთებულმა ბერიკაცმა, ღრმად ამოიოხრა და სულგანაბულმა მწარედ ჩაღუნა გულ-დამდაგავად დაღარულ-დაღვრემილი სახე, რომელიც ბურბუარა ცეცხლის ალისაგან ყაყაჩოსავით წამოწითლებულიყო, ატლასივით ლიპლიპებდა ღამის წყვდიადში ცეცხლის შუქზედ და აშკარად აგრძნობინებდა მნახველს, რომ მოხუცს ყრმობიდგანვე ჯოჯოხეთის ტანჯვა-წამებაში დაელივნა მობეზრებული სიცოცხლე.

უეჭველია, სხვა სახე-მოქრუშულს მოხუცებულებსაც იმგვარივე ჯოჯო-

ღებას, ისე, როგორც ყოველთვის ამგვარსავე შემთხვევაში. ეს გარემოება ახასიათებს არა მარტო იტალიის არჩევნებს, არამედ იმავე გარემოებას ჰქონდა ალაგი საფრანგეთისა, გერმანიისა და ბელგიის უკანასკნელ არჩევნებზედაც. ყველა ამ სახელმწიფოებში გამარჯვება დარჩათ ბურჟუაზიის უკიდურესს მემარჯვენთ და დემოკრატიის უკიდურესს მემარცხენეთ, ხოლო დამარცხება ჰხვდათ შუაგულ პარტიებს—პოლიტიკურ რადიკალებს. საფრანგეთში გაიმარჯვეს ოპპორტუნისტებმა და ზომიერ რესპუბლიკელებმა—ერთის მხრით და სოციალისტებმა—მეორეს მხრით, ხოლო დამარცხდნენ რადიკალები; გერმანიაში გაძლიერდა კლერიკალთა და კონსერვატორთა პარტია ერთის მხრით და სოციალ-დემოკრატთა—მეორეს მხრით, დამარცხდნენ-კი პროგრესისტები; ბელგიაში ბრძოლიდგან გამარჯვებული ერთის მხრით კლერიკალები გამოვიდნენ, მეორეს მხრით მუშათა პარტია, დამარცხებული იყვნენ ლიბერალები და დოქტრინერები. სწორედ ესვე მოხდა ახლა იტალიაში: გაძლიერდა კრისპის პარტია ბურჟუაზიის მხრით და სოციალისტთა დასი დემოკრატიის მხრით, ხოლო შუაგული დასები—ცანარდელისა და სხვათა—დამარცხდნენ...

ამგვარად ერთს მხარეზედ იკრიბებიან და კავშირდებიან ბურჟუაზთა ელემენტები, მეორე მხარეზედ მათი დაუძინებელი მტერი—დემოკრატია.

ევროპის ახლანდელი ცხოვრება პირველთაგან თხოულობს ბურჟუაზულ წეს-წყობილების ენერგიულს დაცვას, მეორეს იწვევს ამ წეს-წყობილებასთან მედგრად ბრძოლისათვის, ხოლო შუაგულს პარტიებს, რომელთაც პალიატივებით ჰსურთ გაუმჯობესება დღევანდელის წეს-წყობილებისა, ცხოვრება ნელ-ნელა ზურგს უბრუნებს.

ლალი.

◆

ახალი ამბავი

⁂ კავკასიის ოლქის სამოსწავლო დაწესებულებათა მზრუნველი კ. პ. იანოვსკი ოც-და-სამს მაისს ტფილისიდგან გაემგზავრა. იანოვსკი გაივლის გორში და იქაურ სასწავლებელთა დათვალიერების შემდეგ ქუთაისს წავა.

⁂ დღეს, საღამოს რვა საათზედ, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კრებაა დანიშნული. კრებამ უნდა განიხილოს საზოგადოების ზოგიერთი წვრილმანი მიმდინარე საქმე და ტფილისის საბაღოსნო სკოლის 1895 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. კრებას შეუძლიანთ დაესწრნენ არა წევრნიც.

⁂ ამ წლის პირველს მესამედში სხვა-და-სხვა პირთაგან შესანახავად შემოვიდა ტფილისის ფოსტის კანტორის შემნახველს კასსაში 243,573 მ. და 75 კაპ.

⁂ ამ მიმდინარე წელს უნდა ჩამოვიდნენ სანადიროდ, გამოჩენილნი უცხოელნი მონადირენი: ირლანდიიდგან ფ. ევანსი, საფრანგეთიდგან,—ა. სერფანი და ე. დევო და ინგლისიდგან —კ. ფონტაგერი. როგორც „პეტერბურგის უწყებანი“ ამბობენ, ესენი მოუწვევია რამდენსამე შეძლებულ მემამულეთ, კავკასიის იქითა მხრის მცხოვრებთ.

◆

დამაკვირდი

როდესაც სულელი ქებას დაგიწყებს, მაშინ ის იმდენად სულელი აღარ გგონია.

ვერტეიმერი.

**

რომ ჩვენ იძულებული ვიყოთ ცისადმი ლოცვის მაგიერად ოქროები აღვავლინოთ ხოლმე,—ყველა ჩვენგანი ატეისტი იქნებოდა.

იგივე.

◆

კორესპონდენცია.

სოფ. ხიმში (რაჭის მაზრა), 16 მაისი. „ივერიის“ მე 80 №-ში დაბეჭდილია პასუხი ბ-ნ ბეთლეველისა, შესახებ რაჭის მაზრის სამის საზოგადოების შეერთებისა, სახელდობრ: ველევის, ამბროლაურისა და წესიაზედ. ამ სამმა საზოგადოებამ ხიმშის ჭალაზედ ააშენა კანცელარია და ეხლა სკოლის აშენებაზედ აქვთ დიდი უთანხმოება, სწერს კორესპონდენტიო, ბრძანებს ბ-ნი ბეთლეველი. დიაღ, ბ-ნო ბეთლეველო,—კანცელარია ააშენეს ხიმშის ჭალაზედ, ადგილის სიიაფის და კარგ მდებარეობის გამო, მხოლოდ სკოლის აშენების შესახებ, თუმცა მრავალჯერ იყო საზოგადოება თავმოყრილი, მაგრამ ერთმანეთის უთანხმობით და ზოგ-ზოგიერთის ცუდის სიტყვით, ვერა გარდასწყვიტეს-რა. ამას წინად კიდევ იყო საზოგადოების კრება შესახებ ასაშენებელ სკოლის ადგილის გამორჩევისა. ამ კრებაზედ ყოველ წლიურ დახმარებას დაჰპირდა სკოლას სოფ. წესსის მცხოვრები ზურაბ მაისაშვილი, და იმედია კიდევაც აასრულებს ამ დაპირებას. ზურაბმა მთელს საზოგადოებას ამ სიტყვებით მიჰმართა: „ვიცი, ჩემო ძმებო, ბევრი თქვენგანი ქონებით დაცემულნი არიან, ამისათვის შევდივარ თქვენს გარემოებაში და მსურს აღმოგიჩინოთ რამოდენიმე დახმარება სკოლის აშენებაზედ. ამბროლაურში, როგორც თქვენც იცით, გარდაწყვეტილია უმაღლეს მთავრობიდგან საავადმყოფოს აშენება. საავადმყოფოს აშენება მე თითონ შემიძლია, და რაც საავადმყოფოს ხაზინიდგან ქირა ექნება დანიშნული ოთხასი მანეთი, ის ოთხასი მანეთი ყოველ წელს სკოლისთვის შემოსწიროს, აგრეთვე წიგნებსა და სტოლებს ჩემი ხარჯით შეიძენს სკოლაო.

საავადმყოფო, სადაც დღეს კანცელარია გვაქვს, იქ ავაშენოთ იმისთვის, რომ ამბროლაურზედ უკეთესი ჰავა და წყალი აქ არის და მოსწავლეებისთვის აქ უკეთესი იქნება. რაც მე საზოგადოებას ვპირდები, თუ არ მენდობით, ამის ხელ-შეკრულობის ქაღალდს მოგცემთო“. ამ დაპირებამ დიდი სიხარული აღუძრა ხალხს, მხოლოდ ველევის საზოგადოებამ უარი განაცხადა, ჩვენზედ ახლოა ამბროლაური და იქ ავაშენოთ სკოლა და საავადმყოფოცაო. წესის საზოგადოებამ კი, დიდი მადლობა შესწირა ქველ-მომქმედს მაისაშვილს. ასე რომ, ბ-ნო ბეთლეველო, სკოლის აშენებაზედ უთანხმოება წესის საზოგადოების მიერ-კი არ არის, არამედ ველევის საზოგადოებისაგან. დიდი სირცხვილიც არის ველევის საზოგადოებისათვის, რომ სარგებელსა და ზარალს ვერა სცნობს. წესის საზოგადოება ამასაც ამბობს. ასე უხარჯოდ აგვიშენოს ველევის საზოგადოებამ სკოლა და სადაც ესურვებათ, იქ დავეთანხმებით, მხოლოდ ამბროლაურში-კი არაო.

ვ. ჭიჭინაძე.

საინგილო, (ზაქათალის ოლქი). მთელს საინგილოში არის სულ ექვსას კომლამდის ქრისტიანი; დანარჩენი—სამი ნაწილი მუსულმანები არიან. ქრისტიან ინგილოთა აქვთ სასიამოვნო ჩვეულება; მათ უყვართ ეკკლესიაში სიარული და მოძღვრების მოსმენა. ამნაირი ჩვეულება არც ერთს საქართველოს კუთხეში არ არის ისრე გაძლიერებული, როგორც ქრისტიან ინგილოებში. გამოჩენილი დღესასწაული უნდა იყვეს, რომ ქართლ-კახეთში ეკკლესია აივსოს მლოცველებით! აქ-კი ყოველს წირვაზედ სავსეა ხალხით. ეკკლესიაში სიარულს ვერ უშლის ინგილოს ვერც ავდარი და ვერც სიშორე.

ეს იმით აიხსნება, რომ საინგილოში მოძღვარსა და მრევლს შორის სამაგალითო კეთილ-განწყობილება ჰსუფევს; ამნაირ განწყობილებას ვერ ვხედავთ ქართლ-კახეთში. თუ ამ კეთილ-განწყობილებას დაურთეთ ის გარემოებაც, რომ აქ მღვდლები ყოველ წირვაზედ ეუბნებიან ხალხს გასაგების ენით ქადაგებას, მაშინ ადვილად მიჰხვდებიან ქართლ-კახეთის მღვდლები, რატომ არ ეკარება მათი მრევლი წირვა-ლოცვას და არც ისმენს მისს ქადაგებას; თუმცა ქართლ-კახეთშიაც ამბობენ ქადაგებას, ჩვენი ყურითაც მრავალი გვსმენია, მაგრამ ხალხისთვის-კი უნაყოფოდ რჩება მათი ქადაგება. მქადაგებელი ელაპარაკება უსწავლელ ხალხს წიგნის ენით, რომელიც მდაბიო ხალხისათვის გაუგებარია. როდესაც მქადაგებელი გაუგებარის ენით და სხვათა სიტყვებით ელაპარაკება ხალხს, რასაკვირველია, მაშინ მას არა ესმის-რა ქადაგებისა. ამის გამო გლეხი არ იწუხებს თავს მოძღვრების მოსასმენად. დროა ჩვენმა სამღვდელოებამ ქადაგების საქმე წინ წასწიოს; ეხლა ბევრი განათლებული მღვდლები გვყავს სოფლებში, რომელთაც შეუძლიანთ დასწერონ ხალხისთვის გასაგებ ენაზედ ქადაგება და ამით უშველონ საქმეს.

ქებოტელი.

◆

⁂

როს მოვსწყდე სოფელს, მოვშორდე
მზისა და მთვარის ცქერასა,
ბაგემ შესწყვიტოს მსჯელობა,
გული დაეხსნას ძგერასა,
დამიდგეს თვალი მხედველი
და ვგრძნობდე ქვეყნად ვერასა—
ნუ მიგლოვ, სატრფოვ, ნუ შესცვლი
ტირილზედ შენსა მღერასა!..

დ. ნინოწმინდელი.

◆

პასუხი.

მაისის 11 რიცხვს „ივერია“-ში დაბეჭდილია ბ-ნის წილკნელის შენიშვნა. სხვათა შორის, იგი ამბობს, რომ ვითომც გორის უხუცესს (სტაროსტას), როდესაც ამ ადგილზედ ირჩევდნენ, ეთქვას: „ოღონდ მე ამომირჩიეთ და თავს ვისახელებო და სხვა. ეს შენიშვნა ბ. წილკნელისა ისე შორს არის სიმართლეზედ, როგორც იტყვიან: „სად ახმეტა, სად წილკანი—სად ბატკანი, სად ციკანიო“. ბ. წილკნელმა ისე არ იცის

ხეთის ცხოვრების სევდა-ნაღველი უდუღდათ გულში უსიტყვოდ, ხმაგამოუცემლად და იმიტომაც არც იმათ ეკიდებოდათ თვალზედ ლული, მით უფრო რომ ყველა იმათგანს ცალი ფეხი სამარეში ედგა და სანატრელად წელ-გულის გამათბობელ იშვიათის ცეცხლის სიცხოვლით ქინსა ყრილობდნენ „დამძრალი“ სულის დასატკბობლად. მხოლოდ საიდგანღაც გაისმა ღამის სიჩუმეში ვიღასიც რიხიანი ხმა:

— ნოდარი! რატომ მაგრე დადურაღულ ცხვარივით ყურები ჩამოგიყრია და ბულკით გაჰდილ ,,ნეენა - მარონა - ბარიშნასავით‘‘ ჰკნასი-კნუსობ? სიღარიბეჰ მაგითანა აზიზმაზიზი გულ-ჩვილობა ქირივით ეჯავრება, კაცო!.. იგეთი უნდა იყო—დრეკა არა გქონდეს გაყალაღნებულ ნიკორა კამეჩივით, თუ გინდა რო ქვეყანაში იცხოვრო, გაიგე?

— ეე, ჩემო ალმასხან, ჯერ შენ კიდე გამოუქნელ-გამოუჯეკავი მოზვერი ხარ, შვილო: ჯოჯოხეთის ჭაპანი არ გიწევნია მშიერი კუჭით, და იმიტომაცა ჰლაპარაკობ მაგრე ყოყოჩათ. აბა, შენც გამოჰცადე ჩემი სამოცი წლის სიღატაკის ჭაპანწყვეტა და მაშინა გნახავ რაც ბიჭი იქნები! თორე ცარიელი სიტყვით ტრაბახა ნაცარქექიამაც მაგრე იცის: ცხრა-თავიან ბაყბაყ-დევსაც ბუზათ აგდებს, მაგრამ აბა შეექიდოს და მაშინა ენახავთ, ბუზი ვინც იქნება: დევი თუ ნაცარქექია!.. ყელში ჩაციებით გაეპასუხა ვიღაცას ხმა და ისევ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა დიდრონის ცეცხლებით თვალ-გულ-სალხენად გაჩირაღდნებულს ჭალაში, რომლის ცა-შეკრულ ფოთოლ-კენწეროებს ხან-გამოშვებით აღმოსავლეთის ფრთა-გაშლილი ნიავქარი აზიზინებდა ხოლმე ზღვასავით ათრთოლებით და მისი შეერთებული ხმაურობა-შრიალი მაღალ ციცაბო მთიდგან გადმოჩქეფარე წყლის გრიალ-შხუილივით გაისმოდა უზარმაზარ დახავსებულ მუხებქვეშ.

— ვაჰ! შე ტიალო ცეცხლო! სადა ხარ ი ყიამათ-ზამთრისაგან გაყინულებს რო სული-მოსაბრუნებელი ლუკმა პურიც ვერაფრით გამოგვიცხვია!.. გაისმა კიდევ ვიღაც გულსევდიანი ხმა.

საკვირველია ღვთის სახის მქონე ადამიანის ცხოვრება ამ წუთი-სოფლად: ზოგს, ყინვისაგან დამძრალ-გათოშილს, მშიერ მწყურვალს, ლუკმის ამოსაცხობი ცეცხლიც ენატრება, ზოგს ყელთამდის გამაძღარს-კი მოჭარბებულის ცეცხლისაგან „უგარი“ მოსდის...

ციმციმა ვარსკვლავებით მოჭედილი ცა მტრედის ფერად გარიჟრაჟდა, პირ-დალეული ნამგალა მთვარე გაფითრდა, კეთილ-ჰაეროვანი აღმოსავლეთი დიდებულად აპრიალდა ცეცხლის ალივით კავკასიონის ცამდე მიბჯენილ ლილის მთის ყელზევით ჩამოთოვლილ ფრიალო მწვერვალებთან და დასავლეთის მთის შაქრის თავებივით მოყვანილი წვერები ყაყაჩოს ფრად შეღება მისმა გამომკრთოლვარე ქიაფრის შუქნათელმა და დიდხანს გაჰღუოდნენ ლალივით თვალ-წარმტაცად. დაირღვა სამარის მსგავსი სიჩუმე: ბუნდად მოესმათ ჭალაში მყოფთ მლოცავებს დაშორებულ კახეთ-ქიზიყის სოფლებიდგან ცისკრის ზარის წკარა-წკური, შეჰხედეს ცას და უსანდომო მთქნარებით ჩმუჩნით წამოიშალნენ დილა-სისხამზედ. თრთვილი ვერცხლის მტვერივით გადასდებოდა მწვანე ხავერდივით ჩახუჭუჭებულ ბალახს და ნელი ნიავ-ქარი უხვად აყრევინებდა კომლით მომხვალ კუნწულა ცვარ-მარგალიტებს შვიდას წლოვან მუხის ათრთოლებულს ფოთლებს.

კაცებმა დიდრონი ცეცხლები დააგრიალეს, დედაკაცები საუზმის მზადებას შეუდგნენ და გოგო-ბიჭები თავიანთ გულ-სანატრელ კუნელზღმარტლის გაკუნწლულ ხეებს დაერივნენ ჟივილ-ხივილით.

ჭალის ცხოველ-მყოფელი ჰაერი მადის აშლელ მწვადების საამო სუნით გაიჟღენთა. ძლევა-მოსილის მედიდურობით ამოყო სხივ-მომფინარე მზემაც ანთებული ყური დალიტნის ბუმბერაზ მთა-ყინვარიდგან, მოპირდაპირე მაღალ მთის წვერებს ოქროს ბზინვარე გვირგვინი დაადგა და მალევე ქვეყნის მნათობმა მზე სხივოსანმა ათას-ფერად აალაპლაპა მრავალ გვარად ახატულ-ჩამოხატულ კახეთ-ქიზიყის გულ-წარმტაცი მთა და ბარი, რომელსაც ვერცხლის მტვრად გადაღებული თრთვილის მანტია ალმასის ცვარ-მარგალიტებათ შეეცვალა და დილის მზის განმაცხოველებელის სხივებით მინაზებულად აბჭყვრიალებულები საამურად იალ-ციალებდნენ ელვის შუქ-ნათელივით და ცისარტყელასებურის სიმშვენიერით.

ცოტა ხანიც და ყველა ცეცხლის გარშემო გაჩაღდა ლხინი, სადღერგძელო, ტაშ-ფანდური, დაირა-ბუზიკაზედ თამაშობა და ყიჟინა-ურას ძახილი. „ტაშ! ტაშ! ტაშ! ტაშ!...“ გაცხარებულად გაისმოდა ოთხსავ კუთხივ და ზედვე მოსდევდა ცხელ-ცხელის მწვადებისაგან გამოწვეული არა ნაკლებად აღტაცებული ხმა ტუჩების წლაკუნით: „უჰ! უჰ! უჰ! უჰ! დედის რძეა-რაღა!..“ მთელი ჭალა საქვეყნო დღეობათ გარდაიქცა: ძირს ტკბილ-ქეიფით ამღერებული ქვეყანა ლხინობდა ცეკვა-თამაშით, თუ რიხიანის კახურ-სუფრულის შემოძახილით და მაღლა ამ ქვეყნის ლხინის შეერთხმავებულის ჟრიამულით გულ-აღტაცებული მრავალ ნაირი ფრინველები ტკბილად გალობდნენ, გრძობნით ჭიკჭიკებდნენ და მხიარულად დანავარდობდნენ სრიალით კამკამა-ლაჟვარდოსან ცაში, თითქოს სევდა-გადაყრილ სტუმარ-მგზავრებს იმ საერთო სიხარულის ჟივილ-ხივილიანი გალობა-ჭიკჭიკით უძასპინძლდებოდნენ გულ-გასართობად და თან მდაბლად ბოდიშს იხდიდნენ მალ-მალ თავ-დახრით; ღვინო-არყის უქონლობაზედ-კი ნუ დაგვემდურებითო. მაგრამ, ოჰ, ის ზარ-დამცემი და ადამიანის გულ-გონების მწარედ ამაზრზენი კივილი კიდევ მოისმოდა საიდღამაც: „შვილოოო!..“

დ. მაჩხანელი.

(შემდეგი იქნება).

გარემოება გორის სამართველოსი და მისი შესავალ-გასავლისა, როგორც მე არ ვიცი, რა კეთდება ინგლისის პარლამენტში. უხუცესმა რა ქნას, როდესაც იმისთანა ხალხი ახვევია გარს, რომ ყველას უნდა თავისს გემოზედ მოაწყოს საქმე და, რასაკვირველია, რომ ბევრნი არ არიან მადლიერნი ქალაქის საქმეთა მიმდინარეობისა. ჯერ ერთი ეს უნდა მოვახსენო ბ. წილკნელს, რომ მოურავის არჩევას ის სრულებით არ დასწრებია და არც იცის, როგორ გაიარა იმ არჩევანმა. ხოლო მე-კი ჩემის თვალით ვნახე და ჩემის ყურით გავიგონე, რომ ბ. გულიშამბაროვს არ უნდოდა დაედგა ყუთი და ორჯელ კიდეც უარი განაცხადა, მაგრამ, რადგანაც ამომრჩეველთ უმრავლესობამ სთხოვა, ისიც დასთანხმდა. ერთი მიგვითითოს ბ. წილკნელმა: რა დააშავა ბ. გულიშამბაროვმა? თუ რამდენმამე წევრმა თავი დაანებეს თანამდებობას, ამაში თვით ეს ვაჟბატონები არიან დამნაშავენი.

ჯებრელი.

მცირე შენიშვნა.

1894 წ. „მოამბის“ 5—6 №№-ში იყო დაბეჭდილი ბ. ჟორდანიას „ეკონომიური წარმატება და ეროვნება“. ამის პასუხად „კვალის“ 49—52 №№-ში ბ. ფხამ დასწერა „ფაქტორები ისტორიული პროცესისა“, ბ. ჟორდანიამ ახლა მისცა პასუხი „კვალისავე“ 12—23 №-ში. ამ სტატიას ჰქვია „კრიტიკის კრიტიკა“.

ნუ შიშობთ, მკითხველო, ჩვენ არ ვაპირებთ „კრიტიკის კრიტიკის“ კრიტიკის დაწერას. ჩვენ აქ მოგვყავს მცირე შენიშვნა ბ. ჟორდანიას რამდენიმე აზრზე, რომელიც იყო წარმოთქმული მის უკანასკნელს წერილში (იხ. კვალი № 23).

ბ. ჟორდანია ბრძანებს: „ეს თეორია (ისტორიული მატერიალიზმი) მეცნიერებაში უკვე დამკვიდრდა“.

არ შეიძლება, რომ შეგვატყობინოთ, ბ-ნო ჟორდანია, რომელ მეცნიერებაში დამკვიდრდა ისტორიული მატერიალიზმი? ან თუ თქვენ გგონიათ, რომ მარკსისტები, ენგელსის წინამძღოლობით, ევროპის მეცნიერების თავში დგანან?

მარკსის გიპოთეზა (და არა თეორია, როგორც მარკსისტები გაიძახიან) ჯერ არც მეცნიერულად დამტკიცებულია და არც გამოკვლეულია ფაქტიურად. თუ ზოგიერთნი გამოჩენილნი მეცნიერნი თავიანთს გამოკვლევებში მატერიალურს მხარეს აქცევენ ყურადღებას (ლუი ბლანი, ლანგე, მ. კავალევსკი), ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ისტორიული მატერიალიზმით ისე ხელმძღვანელობენ, როგორც ზოგიერთი ბატონები, რომელნიც გაჰკივიან: ისტ. მატერიალიზმით ყოველგვარი კითხვა აიხსნებაო.

„ამ ჟამად რუსეთის „სუბექტივისტებმა“ გამოილაშქრეს მის წინააღმდეგ და ამით მხარს აძლევენ კმაყოფილთა ამა სოფლისა. რაც შეეხება „სუბექტივისტებს“, უნდა მოგახსენო ბ. ჟორდანია, რომ მათ შორის ბევრი იმისთანანი იყვნენ და არიან, რომ თქვენი აზრი მათზედ ცილისწამებაა.

თუ ვინმე ასეთი კრიტიკოსი (რომელსაც შესწავლული აქვს საკრიტიკო საგანი) შეეხება მარკსის მიერ დამყარებულს ისტორიულს თეორიას, ჩვენ მზადა ვართ პასუხი გავცეთ.

გეუწყებოდეთ, რომ ამიერიდგან კარლ მარკსი ნოე ჟორდანიას თავისს მფარველობის ქვეშ ჰყავს აყვანილი.

ბ. ჟორდანია, რაღას უცქერით?! ბევრი შეეხო და კიდეც სთქვა, რომ მარკსისტების მიერ (თითონ კ. მარკსი ამბობდა: მე არა ვარ მარკსისტიო) „დამყარებულს თეორიაზედ“ გაეცით პასუხი! თქვენ ხომ შესწავლილი გაქვთ საკრიტიკო საგანი, მაგრამ იქნება თქვენ მარტო ქართველებთან იქერთ საქმეს?

არ შეგვიძლია, რომ არ დავუმატოთ შემდეგი:

ჩვენი კაცი იშვიათად გაჰყვება რომელიმე ევროპიულ მიმდინარეობას და თუ გაჰყვა, ქაჩალის საქმე ემართება. ქაჩალი თავს არ დაივარცხნის და თუ დაივარცხნა, თავს დაიგლეჯსო.

ს.

აჭარა

(დასასრული*)

78, მაღლისა. 20 კომლი. ეს სოფელიც დამწვარ იქმნა ოსმალთაგან 1850 წ. და მეტად უწყალოდ, სხვა სოფლებზედ ბევრად უარესად, შიგ ხალხიც ამომწვარა. ზემოხსენებულს სოფლებს მაშინ დიდი უბედურება სწვევია. აქ აღწერილს ხუთს სოფელს ზოგნი მაჭახელს აკუთვნებენ, მაგრამ ეს არ არის სწორე, ეს სოფლები მაჭახელს მხოლოდ 1878 წ. შემდეგ მიაწერეს, რადგანაც მაჭახლის საზღვრებზედ მდებარე აჭარის მთებში არიან გაშენებულნი, თორემ ეს სოფლები წინად აჭარას ეკუთვნოდა და აჭარადვე ირიცხებოდა. ეს ჩვენც ასევე მოვიყვანეთ აქ. ზემოხსენებულს სოფლებს და დოლოგნელებს უსახელებიათ თავი უფრო ომში. ამათ შესძრეს ოსმალთა ჯარიო და ომში თუ მოკვდა ვინმე, ისევ ამათგანიო. დამორჩილების შემდეგ ამათ სოფლები გადუწვეს, ჯერ თითო კომლს 25 მან. დაადეს ხარჯადო და ხარჯის გარდახდის შემდეგ აღარც ხალხი დააყენეს აქ და ოსმალში გარეკესო. წაყვანის დროს ამათ დედაკაცებთა ტირილი გულს უკლავდა კაცსა. გემში ჩაყრის დროს სულ მიწას ჰკოცნიდნენ და ცხარე ცრემლებს ღვრიდნენო. სოფლებში თითო ოროლა კაცი დარჩენილიყვნენ აქაიქ საიდუმლოდ და ეს მოსახლენი მერე მოშენდნენ აქაო.

აქაურ წყლისა და ჭოროხის შესართავს ქვეით, კახაბრამდე გაჰყვება შემდეგი სოფლები მარჯვნივ და მარცხნივ:

79, ერგე. 40 კომლი. ოსმალებს პირველად ერგეს ხალხისთვის დაუტანებიათ ძალა სჯულის გამოცვლისათვის. ერგეში ბევრი ქართველი გამწყდარა სჯულისათვის, მაგრამ საქმე გასჭირებიათ და ბოლოს გათათრებულან. ოსმალებს პირველად თათრული ჯამე აქ გაუკეთებიათ, ასე რომ მთელს აჭარაში ყველაზედ ძველს ჯამედ ერგეს ჯამე ითვლება. უწყიან, რომ ვითომც ერგეს კარგი ეკკლესია გათათრების უმალვე დაუქცევიათ. ზედ ჯამე დაუდგამთ.

80, მაკიტაური. 5—6 კომლი.

81, ხელვაჩაური. სამამასახლისო. დღევანდლამდე ამ სოფლის ახლოს, ოსანაურის ტყეში პატარა ეკკლესია სდგას. ამის ახლოს მეორე მთელი ეკკლესიაც არის. ორივ, დღეს თუ ხვალ, დაიქცევა.

82, შარაბიძე. 15 კომლი. ძველად მებატონენი ამ სოფლისა და ადგილებისა შარაბიძენი ყოფილან. თათრობის გამო ბევრი ამათგანი გურია-იმერეთში გაქცეულან და თავი გადურჩენიათ გათათრებისაგან...

83, თოფალაშვილები. 15 კომლი. 10 კომლი გადასახლდა. ამ სოფელში სცხოვრებენ თოფალაშვილები, ძველი მებატონენი ამ სოფლისა. აქ ამათ შესახებ ლაპარაკობდნენ, რომ თოფალაშვილები ძველად მეტად მხნე გულოვანი ვაჟკაცნი ყოფილანო და ამათ ოსმალთა წინააღმდეგაც დიდად უბრძოლიათო.

84, ურეკი. ახლა ამ სოფელს ფერიას უწოდებენ. ეს სახელი ამ სოფელს მას შემდეგ დაერქვა, რაც აქ აფხაზეთიდგან აფხაზები გადმოსახლდნენ და დასახლდნენ. აფხაზებისაგან წინად აქაური ქართველთ მაჰმადიანები ძლიერ შეწუხებულნი იყვნენ. აფხაზებს აქ ქართული ენა კარგად შეუსწავლიათ, რადგანაც ამათ გარშემო სულ ქართულს ენაზედ მოლაპარაკე ქართველი მაჰმადიანები სცხოვრებენ.

85, დუჯა-ბერა. აქაც სახლობენ აფხაზნი. ამ სოფელს დღეს სახელი გამოუცვლეს და სტეფანოვკა ჰქვიან, აღრინდელი ბათუმის ოკრუგის უფროსის გვარია.

86, გონიო. რამდენიმე კომლი ზღვის ნაპირას. გონიო საზღვარია კახაბრის, ჭანეთისა და აჭარისა. ვახუშტის დროს გონიოში აქა-იქ თითო-ოროლა ქრისტიანებიც ყოფილან. ჭანებს ქრისტიანობა მაქრიალში და გონიოში შეუნახავთ კარგა ხანს.

87, სიმონეთი. მშვენიერი სოფელია, მშვენიერს ალაგას სძევს, ჰაერიც კარგია და წყაროებიც. 15 კომლი სცხოვრებს. ზოგი ოსმალში გადასახლებულა. ძველად ამათ ეკკლესიაც ჰქონიათ, ეკკლესიის საძირკველზედ ჯამე დაუდგამთ. ასეთი ლამაზი სოფელი კახაბრის მიდამოებისაკენ არსად არის.

88, მახო. რამდენიმე კომლი. ამ სოფლის მახლობლივ თავდება აჭარის მაღალ მთიანი ტყეები და შემდეგ ამათ პატარა გორაკი მთები იწყება.

89, თხილნარი. 25 კომლი. ძველად კარგი პატარა ეკკლესია ჰქონიათ, დღეს აღარაფერი სჩანს. ოსმალთა ბრძანებით დაუქცევიათ.

90, ყარა-შარვალი. აფხაზები სცხოვრებენ, წინად აქ ქართველნი სახლობდნენ. სოფელსაც ქართული სახელი ეწოდებოდა. აფხაზებს ქართული შეუთვისებიათ ქართველ მაჰმადიანთა მეოხებით.

91, ყომბალო. 15 კომლი. 1830 წლებში ამ სოფლის მცხოვრებნი ქართველნი აუჯანყდნენ ოსმალოს, სხვებთან ერთად შეერთებულნი სასტიკადაც იბრძოლეს. დამშვიდების შემდეგ ყველა ესენი აფრიკისკენ გადაასახლეს და ამათ ალაგას შავი ხალხი მოიყვანეს და დაასახლეს. ეს შავი ხალხი დღევანდლამდის აქ დაშთნენ, ესენი კახაბერშიაც დაბინავდნენ და დროს განმავლობის მეოხებით ამათ თავიანთ სახის პირვანდებული შავი ფერი შესცვლიათ და ცოტათ სითეთრე შეჰპარვიათ. რაც ხანი გადის, მით თურმე საქართველოს ტურფა ბუნება მათზედ დიდს ზედგავლენას ახდენს თურმე. თავისს დროს სულაც შეიცვლებიან; ამათაც შეუსწავლიათ ქართული ენა.

92, წითელი მიწა. ამ სოფლის მოსახლენიც ძველადვე იქმნენ ოსმალთაგან გადასახლებულნი ოსმალში, რადგანაც ამათ სჯულის გამო დიდხანს სწამებდნენ ღალატს. ამ სოფელში ოსმალიდგან მოყვანილი თათრები დაუსახლებიათ და სოფლისთვისაც ქართული სახელი შეუცვლიათ და თათრულად უწოდებიათ „ყიზილ თოფრან“. აქ ოსმალოს თათრობის დროისა არაფერია დაშთენილი, მთლად ქართველ მაჰმადიანები არიან, ქართულს ენაზედ მოსაუბრენი.

ამ სოფლებს ქვემოდ, შავის ზღვისაკენ, დაიწყება კახაბერი და კახაბერის ადგილები. კახაბერი მისდევს გურიის საზღვრამდე, რომლის ნაწილშიაც 80-მდე სოფელი ითვლება ქართველ მაჰმადიანთა და რომელიც აღწერილ არს ამ გვარადვე და დასაბეჭდად მომზადებული.

აქ ჩვენ ბევრი რამ წვრილი სოფლები, მთები, ხეობები და ტყეები ვერ მოვიხსენიეთ. მოვიყვანეთ ის, რაც შესაძლებელი იყო. ვიტყვი, რომ ყველა ჩვენ მიერ აღწერილს ადგილებში სცხოვრებენ მხოლოდ ქართველი მაჰმადიანები, ქართველთ ტომის ერი, ქართულს ენაზედ მოსაუბრენი. სამშობლო ენათ ამათში ქართული ენა არსებობს, ქართული სიმღერები, ტირილი, ქართული ხმაურობა და ქართული სახე.

ზ. ჭ.

16 სექტემბერი, 1893 წ.
ქედა.

რუსეთის ცხოვრება.

დიტიატკოვის საამხანაგო ქარხნებში, რომელნიც იმყოფებიან ს. დიტიატკოვში კიევის გუბერნიაში და სადგურ პოლონში, ვოლინის გუბერნიაში, დღეში რვა საათი მუშაობა შემოიღეს წინააღმდეგ წინანდელ თორმეტ საათის მუშაობისა, ე. ი. მუშები დღეში სამჯერ იცვლებიან, წინად-კი მხოლოდ ორჯელ იცვლებოდნენ.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

წარსულ წლის 26 დეკემბერს კორეს მეფემ ხელი მოაწერა იაპონიის მთავრობის მიერ შემუშავებულს მემორანდუმს, რომელშიაც აღნიშნულია, თუ რა და რა რეფორმა უნდა მოახდინოს კორეს მთავრობამ. ჩვენს გაზეთში უკვე გვქონდა მოყვანილი შინაარსი ამ ქაღალდისა და მკითხველი გაიგებდა, რომ კორეს აწეწილ-დაწეწილს მართვა-გამგეობას უთუოდ გააუმჯობესებს იაპონიის მიერ განზრახული რეფორმა. ეხლა ეს მემორანდუმი მთელად არის დაბეჭდილი „მოსკოვის უწყებათა“ გასაჯავრებლად. ეს მემორანდუმი ისეთის კილოთი არის დაწერილიო, ამბობს გაზეთი, რომ ბრძანება არისო და არა რჩევა. სჩანს, რომ კორეს დამოუკიდებლობა მოსპობილა იმ დღიდგან, რა დღესაც კორეს მეფემ იაპონიის მთავრობის ბრძანება მიიღო და შეიწყნარაო. იაპონიის მთავრობა მბრძანებელის კილოთი უჩვენებს კორეს მეფეს—ესა და ეს რეფორმა უთუოდ უნდა შემოიღოო; ცხადიაო მაშასადამე, განაგრძობს გაზეთი, რომ აქ ისეთი განწყობილება არის, როგორიც სუფევს მბრძანებელსა და ქვეშევრდომს შუა და არა ორს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორისო.

„ჩვენო, ამტკიცებს მოსკოველი გაზეთი, კარგად ვიცოდით, რომ კორეს გადაქცევა თავისუფალ სახელმწიფოდ ცარიელი სიტყვაა და არა სხვა რამ. თუმცა სიმონოსეკის ზავი დამოუკიდებლად ცნობილობს კორეს, მაგრამ ნამდვილად კორე ერთს ბატონს მეორეზედ სცვლის, ჩინეთის მაგიერ იაპონიას ემორჩილება. ახლად საჯაროდ გამოცხადებულ მემორანდუმიდგან ნამდვილად მტკიცდება, რომ ჩვენ მართალნი ვიყავით: ხუთ თვეზედ მეტია, რაც კორე იძულებული გამხდარა და თავისუფლებაზედ უარი უთქვამს, ხუთ თვეზედ მეტია, რაც იაპონიას სხვის დაუკითხავად გარდაუწყვეტია კორეს ბედ-იღბალი თვისსავე სასარგებლოდო“.

ლიატონგის კუნძულზედაც მისთვის სთქვა უარი იაპონიამო, რომ უფრო მკვიდრად მოიკიდოს ფეხი კორეში და ავსებს ამ სახელმწიფოს თავისის ჯარებით. საქმის ამგვარად დატრიალებას რუსეთი ვერ შეურიგდებაო, ამბობს გაზეთი, საჭიროა ახლავ გავანთავისუფლოთ კორე იაპონიის ჯარებისაგანო. რაც უფრო მალე შევუდგებით ამ საქმეს, ის აჯობინებს, რადგანაც დღითი-დღე ძლიერდება იაპონია კორეს ნახევარ კუნძულზეო და დღითი-დღე ძნელდება მათი იქიდგან განდევნაო. იაპონელნი თვით გრძნობენ, რომ კორეს რუსეთი უომრად არავის დაუთმობსო და აძლიერებს თავისს ჯარებს, აშენებს ციხე-სიმაგრეებს და სხვა. იაპონელთ იმედი აქვთო, რომ რუსეთს მოსალოდნელს ომში არავინ დაეხმარებაო.

„ვარწმუნებთ იაპონიას, რომ ტყუილი იმედი დაჰბადებია. საფრანგეთისა და რუსეთის ინტერესები ისე დაკავშირებულნი არიან, რომ ეს სახელმწიფონი ყველგან ერთად იმოქმედებენ. არც გერმანია გადუდგება რუსეთს, რადგანაც შეიწყნარა სიმონოსეკის ზავი, რომლითაც კორეს თავისუფლება და დამოუკიდებლობა არის აღიარებული“.

მოსკოვის გაზეთს ეჭვი არა აქვს, რომ სამი სახელმწიფო შემდეგშიაც ერთად იმოქმედებენ შორეულს აღმოსავლეთში და ხელს აალებინებენ იაპონიას კორეზედ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მარტო რუსეთსაც არ გაუჭირდება იაპონიის ძლევა და კორედგან განდევნაო.

„კორე ან არავის, ან რუსეთისაო“ აბოლოვებს გაზეთი თავისს წერილს.

გამოიცანი, მკითხველო, რისთვის აქეზებს მთავრობას კატკოვისეული გაზეთი: კორეს თავისუფლებისათვის თუ დამორჩილებისათვის?

უცხოეთი

ჩინეთი. გაზეთები იუწყებიან, რომ თითქმის ჩინეთის ყველა სამხრეთს პროვინციაში ეწინააღმდეგებიან მთავრობასაო. მრავალი თხოვნები მიდის იმპერატორს, რათა დაუყოვნებლივ იყოს შემოღებული რეფორმები, დათხოვნილ იქმნას უვარგი მოხელენი, აღეკრძალოთ გრძელ ნაწნავების ხმარება და ჩვეულება ქალების ფეხების შეკვრისა. მწერლობას და აზრს თავისუფლება მიენიჭოს... საზოგადოდ შემოღებულ იქმნას ყველა ის რეფორმები, რომელიც ჩინეთმა ევროპიდგან მიიღო.

გერმანია. საფრანგეთის ბევრმა

---

*) იხ. „ივერია“, № 106.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთებმა გაგზავნეს თავისი კორესპონდენტები გერმანიაში, რათა მათ თვალ-ყური ადევნონ კილში დღესასწაულს და შეიტყონ, რა აზრისაა დამსწრეთა უმრავლესობა.

გაზ. „გოლუას" საგანგებო კორესპონდენტი იწერება ბერლინიდგან, რომ იმპერატორი ვილჰელმი ინახულებს ადმირალს მენარს საომარს ხომალდზედ. როგორც იმპერატორი ისე პრინცი ჰენრიხი დიდად მოხარულნი არიან საფრანგეთის ხომალდების წვევისათვის, ასე რომ უცხოელ ხომალდების დათვალიერებას საფრანგეთის ხომალდებიდგან დაიწყებენ. ხომალდ „ჰოშზედ" იმპერატორი ათს წამს დაჰყოფს. ადმირალი მენარი იმპერატორს თავისს შტაბის ოფიცრებს და ხომალდების უფროსებს წარუდგენს. თუ ადმირალი მენარი სთხოვს იმპერატორს ხომალდ „ჰოშის" და მოწყობილების დათვალიერებას, ვილჰელმი დიდის სიამოვნებით მიიღებს ამ თხოვნას. რაც შეეხება იმპერატორის დროშის ამართვას, ამაზედ ერთს კილის ნავთ-სადგურის უფროსს ოფიცერს უთქვამს: „იმპერატორის დროშაზედ გვირგვინს ქვეშ მართალია დაწერილია 1870 წელიწადი, თქვენთვის არა სასიამოვნო რიცხვი, მაგრამ თუ თქვენ იმპერატორის დროშას ამართავთ უამრიცხვოთ, მე მგონია, ამით არ დაარღვევთ კანონს საერთა-შორისო თავაზიანობისას. არც თქვენს ხომალდის მოსამსახურეებს მოსთხოვონ, რომ მათ „გაუმარჯოს იმპერატორს" იძახონ, საკმარისი იქნება „ურას" ძახილიცო".

შოვინისტებისათვის იმპერატორის დროშის ამართვა ხელზედ დასახვევ საგნად გარდაიქცა. თუ დროშა ზედ წარწერით „1870" რიცხვით აიმართა, მაშინ ისენი დიდად გაურისხდებიან მთავრობას. ეს იმას ნიშნავსო, ამბობენ ისინი, რომ საფრანგეთი ელზას-ლორენს „საბოლოვოდ თვისგან მოწყვეტილად ჩასთვილის.

◆ ◆

უცხოეთის წვრილი ამბები.

—

პეკინში, ჩინეთის დედა-ქალაქში, ხელმწიფის სასახლის კარებზედ ორი ძვირფასი ოქროს ლომია დადგმული. 1860 წელს, როდესაც ინგლისისა და საფრანგეთის ჯარი პეკინს მიუახლოვდა, მთავრობის ბრძანებით ოქროს ლომები ლურჯის საღებავით შეღებეს, რათა ევროპიელებს ხელი არ ეხლოთ. მართლაც ევროპიელებს ისინი ბრინჯაოს ქანდაკება ეგონათ და თავი დაანებეს. უკანასკნელ ჩინეთ-იაპონიის ომის დროს, როდესაც იაპონელებმა განიზრახეს პეკინს დასცემოდნენ, ჩინელებმა ეს ოქროს ქანდაკება დამალეს და როდესაც ომა დასცხრა, მაშინ ისევ თავისს ადგილზედ დასწყეს, ასე რომ დღეს ეს ოქროს ლომნი იმპერატორის სასახლის კარებს ამშვენებენ.

—

სამოც და-ათის წლის დაქვრივებულს დიუმას, პარისის გაზეთების სიტყვით, განუზრახავს შეირთოს ცოლად გამოჩენილი არტისტი ქალი.

—

ინგლისის პრემიერის როზბერის ცხენმა დოღში სამჯერ ჯილდო აიღო. ამ დღეებში თორმეტი ცხენი იყო დოღში გამოყვანილი. უმეტესი ნაწილი მაყურებლებისა როზბერის ცხენისთვის სდებდნენ სანაძლეოს. მათს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც როზბერიმ თავისი გამარჯვებული ცხენი „სერ ვისტო" თავისის ხელით ხალხის წინ გამოიყვანა.

◆ ◆

წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ნება მომცეთ თქვენის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა შევსწირო მოსკოვის ქართველ სტუდენტობას და ყველა მეგობრებს და ნაცნობებს, რომელთაც წერილებით და დეპეშებით თანაგრძნობა გამოგვიცხადეს მე და ჩემს ოჯახს ჩვენს განუსაზღვრელს მწუხარებაში.

დავით ხელთუფლიშვილი.

◆ ◆

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

28 მაისი.

პეტერბურგი. მათი უდიდებულესობანი პეტერგოფში გადაბრძანდნენ

„პრავ. ვესტ."-ში დაბეჭდილია, უმაღლესი ბრძანება შესახებ იმისა, რომ დარსდეს რუსეთის მთავრობის წარმომადგენლობა წინაშე პაპისა.

ვენა, 27 მაისი. იმპერატორმა მიიღო დელეგაცია და სთქვა პასუხი იმ სიტყვისა, რომელიც დელეგაციის თავმჯდომარემ გრაფმა ალადარა ანდრაშიმ წარმოსთქვა:

„მე დიდად მახარებსო, სთქვა იმპერატორმა, თქვენგან გამოთქმული გრძნობა, გრძნობა კეთილ-მორწმუნე ქვეშევრდომთა. დიდის კმაყოფილებით ვაცხადებ, რომ უკანასკნელ სესსიის დახურვის შემდეგ სახელმწიფოს გარეშე საქმეები მკვიდრს საფუძველზედ დგანან. მე წინანდელისავე პოლიტიკით ვიხელმძღვანელებ და ჩემი მმართველობაც თავისს ძალღონეს მოახმარებს უკვე დამყარებულ წეს-რიგის დაცვას, რომელნიც დააკმაყოფილებენ, როგორც ჩვენს, ისე ევროპიელ მოთხოვნილებათ.

სამხედრო უწყებას მე იმასვე მოვთხოვ, რასაც შარშანა ვთხოვდი. მან ჯარი და საომარი ხომალდნი, ჩვენის ერის დახმარებით, იმ წარმატების წერტილამდის უნდა მიიყვანოს, როგორც თვით საქმე მოითხოვსო."

სტამბოლი, 27 მაისი. უფროს ვეზირად ჯელად-ფაშის მაგიერ დანიშნულია საიდ-ფაშა.

29 მაისი.

პეტერბურგი. კრონშტადიდან გაემგზავრა დილას კრეისერი „Рюрикъ" და ჯავშნიანი გემი „Императоръ Александръ II". იქეთკენვე წავიდა ხრისტიანზუნდიდან სამხედრო გემი „Грозящій".

სტამბოლი, 28 მაისი. საიდ-ფაშის მაგიერად გარეშე საქმეთა მინისტრად დაინიშნა თურხან-ფაშა, ადრინდელი ელჩი რომისა.

ედინბურგი, 28 მაისი. ნიაღვრის მსხვერპლად შეიქნა 42 კაცი; ამას გარდა 30 სრულიად დაიკარგა უამბოთ.

◆ ◆

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სტროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

დაიბეჭდა და იყიდება ტფილისში წერა-კითხვის სა-
მართველოში და ქართველთა წიგნების გამომცემელ
ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში,

საქართველოს
ისტორია

შემუშავებული და შევსებული
მოსე გ. ჯანაშვილის მიერ.
მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა
ფასი 70 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა
მეურნეობის, ეკონომიის, ვაჭრობისა და მრეწველობის, სტატისტიკისა და საზეითალო ყოველ-კვირეულს ჟურნალს

„მეურნე"-ზედ
(წელიწადი მერვე).

ხელ-მოსაწერი ფასი: წლით (ამ წლის აპრილიდგან მომავალ 1895 წლის აპრილამდე) **ხუთი** მანეთი. ნახევარის წლით **სამი** მანეთი. ფოსტის ადრესი: Въ Кутаисъ. Въ редакцію „**Меурнэ**".

(5—4)

დამზღვევი საზოგადოება
„იაკორი"
(დუზა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს
გარდა სათადარიგო ფულისა.

დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვერდს პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ ვინება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500 მან. და იქანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითი განცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოასიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის საადვილოდ დაზღვევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახლი ალელოვისა, თეოდორე ალესანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—›)

„ივერია"

1895 წელსაც გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

12 თვით	10 მ.—კ.	6 თვით	6 მ.—კ.
11 ,,	9 ,, 50,,	5 ,,	5 ,, 50,,
10 ,,	8 ,, 75,,		4 ,, 75,,
9 ,,	8 ,, —,,	3 ,,	3 ,, 50,,
8 ,,	7 ,, 25,,	2 ,,	2 ,, 75,,
7 ,,	6 ,, 50,,	1 ,,	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია" მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „ИВЕРІА".

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

Дозволено цензурою, Тифлисъ 29-го Мая 1895 г.
სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობის.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე